

გენდერული თანასწორობის მექანიზმები, მიღწევები და გამოწვევები
საქართველოში, ევროპის ქვეყნების მაგალითზე

მაია გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია გელაშვილი

05.07.2021წ

ანოტაცია

გენდერული თანასწორობა ნიშნავს განუხრელად სქესისა სხვადასხვა რესურსებისა თუ შესაძლებლობის თანაბრად ხელმისაწვდომობას.¹ მათ შორის საგულისხმოა, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ქრილში ქალთა რეპრეზენტაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართულობა. გენდერული თანასწორობის მექანიზმს წარმოადგენს ესა თუ ის საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მოქმედებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და განსაზღვრავს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ასევე პოლიტიკურ, სოციალურ თუ შრომით ურთიერთობებში ერთის მხრივ გენდერული თანასწორობის სტიმულირებას, ხოლო მეორეს მხრივ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას. ნაშრომში დეტალურადაა განხილული საქართველოში არსებული ვითარება გენდერულ ქრილში, ისტორიულად გადმოცემული მემკვიდრეობა ამ მიმართულებით, ასევე წლების განმავლობაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მიღწევები თუ გამოწვევები, რომელიც მოიცავს ევროპის ქვეყნების მაგალითებს და მის შედარებით ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს მკაფიოდ უარყოს ან დაამტკიცოს გენდერული თანასწორობის დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები, არამედ ნაშრომის მიზანია მისი წაკითხვის შედეგად მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს, რომ გენდერული თანასწორობის იდეა და ქალთა წარმომადგენლობისა თუ ჩართულობის გაზრდა, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე არის სამართლიანი და თანხვედრაში მოდის თანასწორუფლებიანობის იდეასთან.

¹ CEDAW. Article 1. In Gender Equality Glossary. UN Women. <https://trainingcentre.unwomen.org/mod/glossary/view.php?id=36>. [20.04.2021]